სახალხო გაზეთი

№ 190 ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 190

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპოდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე **სახალხო გაზეთი** წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავ პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети".

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის" დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის" წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანათისა.

მღვდელი ბესარიონ ოქროპირის ძე, მღვდ. გრიგოლ მიხეილის ძე, დავითი ანდრიას ძე და გიორგი ბესარიონის ძე ნადირაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლის, დანარჩენნი დედის

ელისაბედ სიმონის ასულის ნადირაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ სოფ. **გორაში** მიცვალებულის დაკრძალვა ოთხშაბათს 23 დეკემბერს. (2—303—2)

23 ქრისტეშობისთვეს, ხუთშაბათს, დილის ათ საათზე, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

იოანე (ნიკოლოზ) ზაქარიას ძე მათიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე, ბარბარე ივანეს ასული მათიაშვილი, და მარიამ ზაქარიას ასული სართანიძისა და დისწული ალექსანდრა დავითის ასული მარტაშვილი. (1—306—1)

დიდს მადლობას ვწირავ ყველა იმას, ვინც კეთილ ინება და, ჩემი მეუღლის **გარდაცვალების გამო**, თანაგრძნობა და მწუხარება გამომიცხადა დეპეშით თუ წერილებით. **ნიკოლოზ გიორგის ძე სოლოღაშვილი.** (1—309—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცხლის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღით და ღამით.

ამბულატორიო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ავადმყ. ყოველ დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურჯი გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სამოილევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. სადღესურით. (200—6.—355)

ტელეფონი № 882. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 1.

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს, 1910 წ.

არტისტს. სვიმონიძეს მიერ გამართული იქნება წარმოდგენა.

ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

ჰამლეტი

ტრაგედია 5 მოქმედებად და 7 სურათად, ი. შექსპირისა, თარგ. მაჩაბლისა.

ჰამლეტის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ვოდევილი 1 მოქმედებად, ვინ-განისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტ. ს. სვიმონიძე. (1—1) **რეჟისორი ვლ. ალ.-მესხიშვილი.**

Adresse Télégraphique SANITAS

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ

ТИФЛИСЪ, БАКУ, БАТУМЪ.

განყოფილება მიხეილის ქუჩაზე, სახაზინო საკრებულოს გვერდით.

ყოველთვის იშოვება ყოველ-გვარი

● საოჯახო ნივთები ●

სუფრის მოწყობილობა, ტუალეტი, კოსმეტიკა, პარფიუმერია, სადეზინფექციო საშუალებანი, ფოტოგრაფიები და სხვანი იმავე ფასებში, როგორც ერევნის მოედანზე არსებულ მაღაზიაში.

(1—308—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. **გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. **მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქი-[illegible]

ა. **შობოხვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსხოვი გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური [illegible] ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (ზო.—6.—518)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

სააავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—2)

ექიმი ქ. ქუთაისში თ. **ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—36)

ექიმი შ. ა. **მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ა. ნ. **დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ვ)

ექიმი **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—42)

ექიმი მ. **ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—294

ექიმი რ. დ. **მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაგინოვის ქუჩა N 7. თ.—180—60

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—112)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (ვ)

ექიმი ვ. ს. **მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. პიროგნის ქ., № 9. (ვ)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

რატომ უნდა ვიყიდოთ, მხოლოდ **თავართქილაძის და ჩარკვიანის** შედგენილი.

კედლის კალენდარი?

იმიტომ რომ იმაში არ არის არეული არც ერთი ეროვნების საკალენდრო ცნობები, როგორც ეს ზოგიერთებშია.

იმიტომ რომ დაკაზმული ფურცლები აღარ ჩამოცვივდება.

იმიტომ რომ ის კარგ ქაღალდზედ არის დაბეჭდილი.

იმიტომ რომ ის უარს არა ჰყოფს სწავლა-განათლებას, თეატრს და საზოგადოთ ცივილიზაცია-კულტურას.

იმიტომ რომ ის არ უქადაგებს საზოგადოებას, მხოლოდ კლერიკალიზმი ჯავამეფოთო

იმიტომ რომ მხოლოდ ამ კალენდრის მყიდველს ეძლევა **საჩუქრად** საუკეთესო მწერლების საუკეთესო წიგნები ღირებულ 20 კაპ. ვინც კალენდარს ნაწერ ფასზედ იყიდის.

კალენდრები იყიდება ყველგან მხოლოდ, პრემიებ ყველას არ წაუღიათ და თუ ვინმე ისურვებს ყველას გაუგზავნით ერთი შაურის დამატებით.

უმთავრესი საწყობი: ტფილისი, სემენოვის ქუჩა № 4 ქ. **თავართქილაძეს.** (0—295—3)

ტფილისი, 22 დეკემბერი

კავკასიის უნივერსიტეტი. დრო-გამოშვებით საკითხი უნივერსიტეტის შესახებ ადგილობრივ პრესას დაინტერესებს ხოლმე. ბევრნაირი პროექტი ითხზება, ბევრნაირს საშუალებებს გვაწვდიან ამ საჭირო დაწესებულების დასაარსებლად. არიან ისეთებიც, რომელნიც ფრიად ორგინალურ თვალსაზრისით უცქერიან კავკასიის უნივერსიტეტის საკითხს და უმაღლეს სასწავლებლის დაარსებას სრულიად შემთხვევით მოსაზრებებით ამართლებენ. ისეთის მოსაზრებებით, რომელთაც სწავლისა და ცოდნასთან არაფერი საერთო არა აქვს, როგორც ეს რამდენიმე დღის წინად „ზაკ. რეჩ."-მა დაამტკიცა.

უნივერსიტეტის დაარსება ბევრის მხრივ არის საინტერესო და სასარგებლო. ჯერ ერთი, უნივერსიტეტი საუკეთესო გამავრცელებელია უმაღლეს ცოდნისა, იგი გონებრივ მოძრაობის ცენტრია და, როგორც ასეთს, დიდი სამსახური შეუძლიან გაუწიოს კავკასიის კულტურულ წინ-მსვლელობას. კავკასიის უნივერსიტეტი, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობს კავკასიის ყოველ მხრივ შესწავლას; ბევრი რამ ისეთი, რაც დღეს უყურადღებოდ არის დატოვებული, მაშინ სამეცნიერო მსჯელობის საგნად გადაიქცევა.

მაგრამ კავკასიის უნივერსიტეტის დაარსება მარტო ამ მხრივ არ არის საყურადღებო. კავკასიის უნივერსიტეტს ჩვენში პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ყოველ წელს მრავალი ახალგაზდობა მიდის კავკასიიდან რუსეთში სწავლის მისაღებად. რომ ვიანგარიშოთ, რა უჯდება კავკასიელთ ამ ახალგაზდების შენახვა რუსეთში, დავინახავთ, თუ რამდენად ხელსაყრელი უნდა იყოს კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსება. ამას გარდა, სამხრეთის ჰავას შეჩვეული ახალგაზდობა რუსეთში [illegible] ლოში სრულიად დაავადებული ბრუნდება. კავკასიის უნივერსიტეტი კავკასიელებს საზოგადოდ და ქართველ ახალგაზდებს კერძოდ, ცხოვრების პირობებს გაუმჯობესებს და შრომასაც უფრო ნაყოფიერად გახდის.

ერთის სიტყვით, კავკასიის უნივერსიტეტი იმდენად სასარგებლო დაწესებულება იქნება კავკასიისთვის, რომ ამაზე ბევრი მსჯელობა საჭირო არ არის. ეს ყველასათვის თავის თავადაც ცხადია. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის უნივერსიტეტი ყველას სასარგებლო დაწესებულებად მიაჩნია, ქალაქები და დაწესებულებანი ფულსაც სწირავენ, მაინც საქმე წინ ვერ მიდის. სად უნდა ვეძებოთ ამის მიზეზი? მიზეზი ისაა რომ კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებისთვის დიდი ფულია საჭირო, მთავრობა კი კატეგორიულად აცხადებს, ხაზინა ვერაფრით დაგეხმარებათო. პირველადვე, უნივერსიტეტის გასახსნელად საკმაო ფულიც რომ მოგროვდეს, შენახვაც ჯეროვან ნიადაგზე დაყენება უნივერსიტეტისა, ხაზინის დაუხმარებლად, ძალიან ძნელი იქნება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგნი არა ვართ იმისა, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ინიციატივა გამოიჩინონ და საფუძველი ჩაუყარონ კავკასიის უნივერსიტეტს, მაგრამ, ვეჭვობთ, რომ ხაზინის დაუხმარებლად რაიმე თვალსაჩინო გაკეთდეს. ჩვენის აზრით, ფულის მოგროვება უნდა გაგრძელდეს, მაგრამ არც ისე იქნება მეტი, რომ ქალაქებმა და იმ დაწესებულებებმა, რომელნიც ფულსა სწირავენ, შესაფერი შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე და მოითხოვონ, რომ ხაზინაც დაეხმაროს უნივერსიტეტის შენახვაში. კავკასია ერთი უდიდესი კუთხეა რუსეთის იმპერიისა და მას სრული ზნეობრივი უფლება აქვს ასეთი დახმარება ითხოვოს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 დეკემბერი.

საზღვარ-გარედ.

სოფია. პაიკოვის დასაფლავებას დიდძალი ხალხი, სტამბოლოვის მომხრენი, დაესწრნენ. მიცვალებულის სახლში მივიდა მეფე ფერდინანდი და განსვენებულის ქვრივს სამძიმარი უთხრა.

თავრიზი. ცნობა მოვიდა, ვითომც რახიმ-ხანს შახსევანების ბელადებთან კავშირი შეეკრას კარაჯაღში თავისს მდგომარეობის განსამტკიცებლად. გენერალ-გუბერნატორის მოწინააღმდეგე პარტიები ორი დღეა დეპეშის საშუალებით თეირანში ევედრებიან მურზირუს-სალტანეს გადაყენებას, მაგრამ ყურს არავინ უგდებს.

თეირანი. ამანულიზა-მირზამ ასტრაბადში წასვლაზე უარი განაცხადა, ამის გამო მას ზედმეტად მიცემული 4000 თუმანი უკანვე გამოართვეს.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ინგლისის ელჩს ოფიციალურად უპასუხა. სპარსეთის მთავრობა უმტკიცებს, რომ ყოველგვარი საშუალება მიღებული სამხრეთ გზებზე მშვიდობიანობისა და წესიერების აღსადგენად. დანიშნულია მხ[illegible] გუბერნატორი, თეირანიდან, ხამადანიდან და ისპაჰანიდან ჯარია გაგზავნილი და ინგლისის ბანკის მიერ [illegible] მიღებული ფული საკუთრივ სამხრეთის დამშვიდებას ხმარდება.

სოფია. სახალხო პარტიის ბელადი ფეოდოროვი ნამინისტრალთა თავს მართლებით ვერ დაკმაყოფილდა; კანონის დარღვევას გარეშედან მოსალოდნელი საფრთხე ვერ გაამართლებს, მით უმეტეს, რომ ასეთი საფრთხე არა ყოფილა. იმასი თქმა, ვითომც პალატა საიდუმლოებას ვერ დაიფარავდა 25 მილიონის სესხის საქმისას, პატივსადები მიზეზი არ არის. ფულის გადადების საქმე რამდენიმე დღის შემდეგ გამოჟღავნდა, გაზეთები ოსმალეთის გამოლაშქრებაზე სწერდნენ, ბრალდებულნი საფრთხის მოლოდინს ვერ დაიჯერებდნენ, ვინაიდან დელკასემ და რუსეთის და ავსტრიის მთავრობამ დაარწმუნეს, ბოლგარიას ხელს ვერავინ შეახებსო. თუმცა ნამინისტრალნი მიზეზად მოსალოდნელ საფრთხეს ასახელებენ, მაგრამ მათ ორის თვის მერე შეუკვეთეს იარაღი. დანევს ლამზდორფისათვის არავითარი პირობა არ დაუდვია.

მადრიდი. 14 დეკემბერს მულაი-გაფიდმა ხელი მოაწერა ისპანია-მაროკოს ხელშეკრულებას.

ათინა. შინაგან საქმეთა მინისტრმა მიწის ძვრისაგან დაზარალებული ადგილები მოიარა. ლეხენში თითქმის ყველა შენობები დაირღვა და საბინადროდ გამოუსადეგი გახდა. შეშინებული მცხოვრებნი პატრასა და პირგორში გაიხიზნენ. მიწის ძვრა ეხლაც სუსტად გრძელდება. გამუდმებით სწვიმს და სეტყვა მოდის.

ლონდონი. უქმეებისა გამო ახალ პირთა დანიშვნა არ მოხდა.

რუსეთი

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ მიიღო, მთავარ სამართველოს მიერ უარყოფილი, სათათბიროს რამდენიმე დეპუტატის მიერ პოლონეთის სამეფოში ერობის თვითმართველობის შემოღების შუამდგომლობა.

ქალაქის უფროსმა 350 მანეთით დააჯარიმა „გროზას“ რედაქტორი. „სტოლიჩნია ოტკლიკის“ მე-6 ნომერს ყადაღა დაადეს, რედაქტორი 128 მუხლის ძალით სისხლის სამართალში მისცეს.

ომსკი. ქალაქის თეატრში წარმოდგენის დროს, სცენაზე ცეცხლი გაჩნდა, დეკორაციები დაიწვა. მსახიობმა ორლოვმა მუშა გადაარჩინა და კინაღამ კვამლში არ გამოიღრჩო.

ვლადივოსტოკი. სედანკასა და პირველ მდინარის შუა, მიმავალ მატარებელში ფულის კასა გატეხეს და 30 ათასი მანეთი გაიტაცეს. ბარგის კონდუქტორი სულთმობრძავი იპოვნეს. იგი მალე გარდაიცვალა.

ჰელსინგფორსი. სეიმის არჩევნები დაიწყო. ჰელსინგფორსში, ხმის უფლება 64,700 აქვს; 1 საათამდე არჩევნებში 56000 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ეჩმიაძინი. კათალიკოსის დაკრძალვას დაესწრნენ: ექსარხოსის წარმომადგენელნი, მეფის მოადგილე, სენატორი ვარაკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე პეტროვი, 120 დელეგაცია. დაკრძალვის შემდეგ ქელეხი გადაიხადეს. საპატრიარქოს ტახტის მოადგილემ სიტყვა წარმოსთქვა, სომეხთა ეკლესიის უდიდესი მფარველი მეფე, დედოფალი, მემკვიდრე და მეფის მოადგილე დალოცა, დიდებულ მართლმადიდებელ ეკლესიის წარმომადგენელნი, ექსარხოსს მადლობა გადაუხადა, რომელმაც სომეხთა ეკლესიის მწუხარება გაიზიარა. სადამოზე დელეგაციები წავიდ-წამოვიდნენ.

ოდესსა. ქალაქის უფროსმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რათა აკრძალულია დანაშაულის დამნაშავის შექება, მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება, ცრუ ხმების გავრცელება, მოსწავლეთა საჯაროდ ასისინება, სწავლის შესაწყვეტად, სამრეწველოებში და საზოგადო დაწესებულებებში მუშაობის შესაჩერებლად, მუქარის შეთზიანება, ჰაერის მოწამვლა და სხვ. დამნაშავეს 500 მანეთით დააჯარიმებენ, ან 3 თვით დააპატიმრებენ.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ნოე ჟორდანიას განთავისუფლება.** ამ დღეებში ციხიდან გაანთავისუფლეს ასის თუმნის თავდებით პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ნოე ჟორდანია.

◆ **ტფ. სახალხო უნივერსიტეტი.** 20 დეკემბერს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოხდა. გამგეობამ მსჯელობა იქონია უნივერსიტეტის სკოლების შესახებ და დაადგინა: 23 დეკემბერს ყველა სკოლები დახუროს უსახსრობისა გამო და მხოლოდ მაშინ გააღოს, როდესაც ფულს იშოვის.

◆ **„დაშნაქცუთუნის“ საქმე.** ტფილისში მიღებულ ცნობებით, საბრალმდებლო ოქმები უკვე ჩაუბარებიათ ნოვოჩერკასკის ციხეში დაპატიმრებულთათვის, რომელთაც ბრალად ედებათ „დაშნაქცუთუნის“ პარტიის წევრობა.

◆ **ნებადართული პიესა.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ გიორგი ფოცხოველის ახალი 4 მოქმედებიანი დრამ „ცხოვრების ქსელში“.

◆ **შემწეობა.** ბაქოს ნავთის მრეწველთა კრებამ 3,000 მანეთი გადასდო ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების სასარგებლოდ.

◆ **მეფუტკრეობის გამოფენაზე.** 20 დეკ, საღამოს 5 საათზე, მეფუტკრეობის გამოფენა დაათვალიერეს ტფილისში მყოფმა, სამღვდელოების დეპუტატებმა რიცხვით 40-მდე. სამღვდელოების კრების თავმჯდომარის მამა რცხილაძის თხოვნით მათთვის გამართეს საუბარი—ფუტკრების ცხოვრებისა და მოვლის შესახებ. მღვდლებმა დიდის გულმოდგინეობით მოისმინეს მაგალითებით ნაჩვენები საუბარი და გამოსთქვეს სურვილი, რომ ისინიც მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს.

◆ **კოტე მესხის იუბილეს გამო.** რედაქციამ შემდეგი მისალოცი დეპეშები მიიღო: 1) „კოტე მესხს. თელავის ქართველი საზოგადოება გილოცავს 30 წლის არტისტიულ მოღვაწეობის იუბილეს. იცოცხლეთ დიდ ხანს ჩვენთვის, ძვირფასს თეატრის დასამშვენებლად. წ.-კითხვის საზოგადოების თელავის განყოფი- [illegible] ჯობა ამღორძინებელო და სიამაყევ ქართულის სცენისა კოტე! ჩვენც გვიხარია შენი ბრწყინვალე დღესასწაული. სამტრედიის საზოგადოების მონდობილობით საიუბილეო კომიტეტი“.

◆ **სასამართლოში,** 18 დეკემბერს ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე ზაქათალის ოლქის უფროსის პოლკოვნიკ გაიკოვიჩისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა ბრალიდებოდა. გუშინ სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც ბრალდებული სრულიად გამართლდა.

◆ **ტფ. ქართულ გიმნაზიაში.** ამ სასწავლებლის მოსწავლეებს დღეს ითხოვენ.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას** შემოსწირეს: დაფქვიაშვილის ქვრივმა ნინო იაკოფის ასულმა—ძველი დროის ოქრომკედით ნაქარგი ბუდე სავარცხლისა და აბრეშუმის ფარჩა, და რაია-ბაფთი; კნ. ნიკო ნიკოლოზის ასულმა მაჭუტაძისამ—შუშის საკრემლე.

◆ **ნორვეგიელი რუსთაველი.** როგორც გვატყობინებენ, ამ ორის თვის წინად ბ-ნ არტურ ლეისტთან ყოფილა ერთი მგზავრი, რომელსაც თავის თავი გაუცნობებია, როგორც რუსთაველს დაბადებულს, მაგრამ ნორვეგიაში აღზრდილად. მგზავრს არტურ ლეისტისთვის უთქვამს: მე წავიკითხე „ვეფხის ტყაოსანი“, თქვენ მიერ ნათარგმნი. წინად მეგონა, რომ ჩემი გვარი იტალიური იყო, მაგრამ თქვენის თარგმანის წაკითხვის შემდეგ ვფიქრობ, რომ ჩვენი გვარი საქართველოდან უნდა იყოს მოსული და აი ამიტომ მოვედი თქვენთან, გავიგო რამე ჩემის გვარისსო. მგზავრი ორმოციოდე წლისა იქმნება და ქერა თმიანია.

◆ **ქართული წარმოდგენა.** ოთხშაბათს, 22 დეკემბერს, სახალხო სახლში ქ-ნ ჩირგაძის და ბ. ქ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ცხოვრების გმირი“. ვისაც 14 დეკემბრისთვის ჰქონდა ბილეთი ნაყიდი, იმას შეუძლიან ამ წარმოდგენით ისარგებლოს.

◆ 20 დეკემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრა 34 უპასპორტო.

წერილი ქვემო-ქიზიყიდან

ძალიან უშედო ამინდია პურის მოსავლისათვის: მთელმა შემოდგომამ და ზამთარმა ისე გაიარა, რომ მადლიანა- [illegible] გდ. დედამიწა მთლად ამოიფიტა, მას სისველე არა აქვს. ამის გამო შემოდგომობით დათესილი პური თუ ქერი ჯერაც არ ამოდიებულა.

ამასთან სამწუხარო ის არის, რომ ხვნა-თესვის მოუგვარული ქვემო-ქიზიყი უხნავ-უთესი დარჩა: მინდვრების გაყოფის და მათი საკუთრების სურვილი სენად გადაედო მთელს სოფლებს; მიდიან გასაყოფად, იშრიტებიან და ვერც კი გაუგიათ ამასობაში ხანი მიდის და ხვნა-თესვა უკან რჩება.

დაუმატეთ ამას ის საშინარი მოვლენა, რომ მთელი მინდორი, სახნავ სათესი თუ სხვა ადგილები თაგვებმა მთლად დაიჭირეს სახლ-გზა შიაც კი გვესტუმრნენ! ქვემო მახნანელები ოხვრით ამბობენ: „ისე ფეხს ვერ დასდგამ, რომ ნაფეხურზე თაგვის სორო არ იყოს წინამხარში (შირაქი) მინდვრად ისე ირევა თაგვი, გეგონებათ ფრინველ-ტარბის გუნდი დასცემია მინდვრებსაო. საჭმელი ბალახი რომ ვერ უშოვიათ, ჯაგნარის ძირებს მთლად დრღნიან ორ არშინის სიმაღლემდის. მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ თაგვიც რადაც შესაზარი აგებულობისაა: ერთ-ნაირი თაგვი ზურგ-მოწითალო და გულ-მკერდ ნაცრის-ფერი, კუდი მომრგვალი, მოწყვეტილივით აქვს. ტანად არც თუ მინაურულ თაგვის, არც გირ-თაგვის ტოლაა შუათანაა.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ზოგიერთის სახლებში გაჩნდნენ გირ-თაგვები მთლად შავი ფერისა და მოკრძო კუდით. ეს შავ-ფერა თაგვებთ მართლა ხომ არ მოასწავებენ შავ ჭირს! კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება გვპირდება ამ მავნე ქმნილებათა შებრძოლებას და დაგვიანება კი არ უნდა.

ქურდობა ხომ ქიზიყში ისევ ჩვეულებრივი გახდა, თუმცა ადგილობრივი ბოქაულის მხრივ დიდი ზრუნვაა ქურდობის წინააღმდეგ, მარამ ამ ბოლო ხანებში ქურდობისა ბევრი შემთხვევა მოხდა: თათრებმა გაიტაცეს 300 სული ცხვარი ბოდბელებისა. ბოქაული მდევრებით დაედევნა მათ კვალს, მაგრამ შედეგი კი ჯერ ჯერობით არ გაცით. ს. ჯუგაანის გლეხს ს. ზ-შვილს მოსტაცეს ტყიდგან სამი კამეჩი და რამდენიმე ხარი. იმედი არ არის მათი პოვნისა,

რაც შეეხება ზნეობრივ და გონებრივ მხარეს ქიზიყელებისას, ამაზე შემდეგ მ-ძ.

ხმა გურიიდან

საქართველოს უდელი კუთხიდგან კორესპონდენტების ერთი და იგივე ხმა ისმის, უკველკან კულტურული [illegible] დის ინტელიგენციისაგან, რომელთა უმეტესობას დღეს სოფლის მასწავლებლები შეადგენენ, ყველგან სამკითხველოების ცუდ მდგომარეობაში ყოფნა, დახურვა და ბევრგან თვით სამკითხველოსთვის შეძენილ შენობებსაც ჰყიდიან. ყველა ესენი, სხვათა შორის, სოფელში მყოფ ინტელიგენტთა უმეცრებობით, უყურადღებობით ხდება; სამაგიეროდ ძმა-ბიჭური ქეიფი, ბანქო ნარდ-კამათელი და სხვა ასეთებით ირთობენ თავს. გურიის რომელი სოფელი გნებავთ რომ ახალ-გაზრდები ბანქოს თამაშით არ ათენებდნენ მთელ ღამეებს; როგორც გაზეთი „საქმის“ უკანასკნელმა ნომერმა გვაუწყა: ბასილეთის, ჯვარცმის და ფარცხმის სკოლის მასწავლებლებთათვის დირექტორს ნება დაურთავს თვეში ორჯელ შეიკრიბნენ და სწავლის საქმის გაუმჯობესობის თაობაზე მსჯელობა იქონიონ. ამავე სკოლის მასწავლებლებს კატეგორიულად ლექციები უკითხავთ მოწაფეებს.

იანეთის სკოლის მასწავლებლებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ მათ ნება დართონ დიდებისათვის საკვირაო სკოლის გახსნის.

სურვილი მეტად სიმპატიურია.

თუ როგორ განახორციელებენ საქმეს, მომავალი გვიჩვენებს, იმედია, ამათ მიმბაძველნიც გამოუჩნდებათ.

საჭიროა დიდებისათვის საკვირაო სკოლის დაარსება, მეურნეობის გაუმჯობესებაზე, კოოპერატიულ ამხანაგობების, ბუნების მოვლენის შესახებ ბაასი, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება და სხვა...

აი რითი უნდა გაგვიწევდნენ სამსახურს ჩვენი მასწავლებლები დღეს სოფლად.

მივმართავ კერძოდ ნიგოითის სკოლის მასწავლებლებს. მიჰბაძონ ზემო ხსენებულ სკოლის მასწავლებლებს. დროა, თავი დაანებონ დავრენტი, ფიდიში და კომპ. დროს ტარებას და ჩვენს კენაც მოიხედონ.

დ. გლეხი

როდის დაარსდა ავლაბრის თეატრი?

(ა ბაჯიაშვილის წერილის გამო)

1902 წ. ავლაბარში, თელავის ქუჩაზე ბ. მურაშკო შეუდგა აუდიტორიის აშენებას. ეს რომ აქაურმა სცენის-მოყვარეთ შეიტყვეს, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომელთაც წარმოდგენების მართვის სურვილი ძლიერ ჰქონდათ და ამისათვის კი ბინა არსად იყო; თუმცა რამდენჯერმე კერძო სახლებშიაც გამართეს ქართული წარმოდგენები, მაგრამ ვაი იმ გამართვას...

მურაშკოს ჯერ არც კი დაემთავრებინა აუდიტორიის შენობის [illegible] ნაწილი, რომ სცენის-მოყვარეთ ივ. იმედაშვილმა და ივ. მჭედლიშვილმა მოლაპარაკება გამართეს, რომ თეატრი ქართული წარმოდგენებისათვის დაეთმო. ამაზე შეთანხმდნენ კიდეც. შემდეგში ამათ, მოიხმეს სხვა სცენის-მოყვარენიც და შეადგინეს სახალხო წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა.

1902 წ. 17 ნოემბერს, გაიხსნა კიდეც თეატრი. პირველი სადღესასწაულო წარმოდგენა, როგორც დამაარსებელს, თვით ბ. მურაშკოს ეკუთვნოდა. მან წარმოდგენა რუსულ ენაზე გამართა—რუსულად და ქართულად. ქართულისათვის დრამატიულ საზოგადოებიდან მიიწვია ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა, ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, ივანიძე და სხვ.

ზემოხსენებულ ქართულ სცენის-მოყვარეთა ამხანაგობაში, რომელიც სულ პირველ სცენის-მოყვარეთა ამხანაგობად უნდა ჩაითვალოს ავლაბარში, შედიოდნენ; ქ.ქ. ვაშაკიძე, ბარბასელი, გორელი; ბ.ბ. ს. იმედაშვილი, ი. იმედაშვილი, ბალაშვილი, სალაყაია, მჭედლიშვილი, ბაჯიაშვილი, ბ. მაისურაძე, ი. მაისურაძე, მოსეშვილი, ალექსიძე, პოლოსოვი, სადათიანი და სხვ. ასეთივე ამხანაგობა სომხებმაც შეადგინეს. რუსული დასი კი თვით მურაშკომ შეადგინა, ასე რომ სამივე დასს ყოველ-კვირა წარმოდგენები უნდა ემართნა შეთანხმებით, შაბათს საღამოთი, კვირა დილაობით და საღამოობით. თუ პირველ, სადღესასწაულო წარმოდგენას, არ მივიღებთ მხედველობაში, პირველი წარმოდგენა ქართულმა ამხანაგობამ, 1902 წ. 23 ნოემბერს გამართა, სომხურმა 24 ნოემბერს კვირა დილით და რუსულმა საღამოთი.

აქედან აშკარადა სჩანს, რომ ავლაბრის სახალხო თეატრის გახსნიდან პირველი წარმოდგენა რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენაზე ერთსა და იმავე წელსა და თვეს ყოფილა, განსხვავება მხოლოდ ერთი დღეა ქართულსა და სომხურს შორის. ამ წელს კი ბ. არაქსიანი ავლაბრის თეატრში მოსიარულე ხალხიც დამემოწმება, რომ სულ პირველი წარმოდგენა ქართულმა ამხანაგობამ გამართა და წარმოადგინეს „პეპო“.

მაშ ბ-ნ ლემ საიდან აღმოაჩინა ამერიკა? არაქსიანმა რომ 1903 წლის შემოდგომაზე დაარსა თეატრი და შეადგინა დასი, ამაში მეც ვეთანხმები, მართალია ბ. არაქსიანმა ავლაბარში მეორე თეატრი დაარსა და მეორე დასი შეადგინა, მხოლოდ ერთის წლის შემდეგ, მურაშკოს თეატრის დაარსებიდან. მანამდე რომ ზემოხსენებული რუსულ—სომხურ—ქართული დასი მუშაობდა ავლაბრის განაპირა უბანში, ამაში კიდევ თვითონ ბ. ლე დამიკრავს კვერს, თუ რომ მართლა განგებ არ უნდა, რომ მკითხველები ყალბის ცნობებით შეცდომაში შეიყვანოს.

რომ უფრო ნათლად დავანახვო ბ. ლეს, თუ ვინ იყვნენ პირველად

საფლავის ქვაზე

ცხოვრების წალკოტს მოსწყდა ყვავილი,
სიკვდილის შუქმა უღვთოდ დასცარა,
პარტახად ექმნა ოცნება ტკბილი,
მოკვდა... შავ მიწას ამოეფარა.
ჟამსა მწუხრისას, მას ვერ ვიხილავ,
ვერ მანუგეშებს საფლავის მცველსა,
ამაოდ დავღვრი ობოლსა ცრემლებს,
მისკენ ამაოდ გავიწვდი ხელსა!

* *

ოჰ, ჩემო სევდავ! იძინე ტკბილად,
თავს დაგტრიალებ შენი ოცნება,
აწ მომევლინე სულისა ჩრდილად,
რადგან კვლავ ნახვა არ მეღირსება.
ჰა, მოველ შენთან... შენ ვეღარ მხედავ...
ყრუა სამარე... მიდნება გული,
თავს დაგკვითინებ დაკარგულ იმედს,—
დაობლებული!..

ნ. ჩხიკვაძე.

ჩვენი ზეტიალი

(საქონლის მომშენებელთა „საზოგადოების“ გამო)

ეს ერთი ხანია, რაც შესდგა „ცხვრის და საქონლის (ცხვარი კი საქონელი არ არის?) მომშენებელი ამიერ-კავკასიის საზოგადოება“; მისი წესდება—ამავე სათაურით—დამტკიცებულია სათანადო სამინისტროსაგან და უკვე დაბეჭდილიცაა.

საზოგადოებას ფრიად საინტერესო და სიმპატიური მიზანი დაუსახნია თავის მოქმედებისათვის; ამასთანავე ფართო საზღვრებში აყენებს თავის საქმეს წესდებაში ვკითხულობთ: „ცხვრისა და საქონლის მომშენებელთა ამიერ-კავკასიის საზოგადოება“ (კურსივი ჩემია) არსდება იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ადგილობრივ ცხვრისა და საქონლის მომშენებელთ, რათა მათ წესიერად და ხელსაყრელად გაასაღონ თავიანთი მონაგარი, ამისათვის“ და სხვა. თქმა არ უნდა, რომ თუ-კი ამისთანა ორგანო დაარსდება და თავის მიზანს საქმედ გადააქცევს, ხალხისაგან მადლობის მეტი არა ეთქმისრა. მართლადა, ჩვენებურ აღებ-მიცემობას რომ ზერეურადაც გადაავლოთ თვალი, ადვილად დაინახავთ მის უთავ-ბოლობას, მის არა სასურველ მდგომარეობას. მაგალითად ავიღოთ მატყლი, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს ხალხის ვაჭრობაში. მინამ მატყლი ქარხნამდე მიაღწევდეს, ოთხი ეტაპი უნდა გამოიაროს. მატყლის მწარმოებლისა და მექარხნის შუა იკვებება ოთხი აგენტი. რაც ამ პირებს „საგამრჯელო“ ეძლევათ, ის რომ თვით ცხვრის პატრონს რჩებოდეს, ეს მისთვის დიდი მოგება იქნებოდა. ამის გამო ყოველ წლიწადს ხალხის ნაშრომიდან დიდი ნაწილი გადადის სხვის ხელში; ეს ზარალი რომ ასი წლობით გამოვიანგარიშოთ, უფრო ნათლად დავინახავთ, თუ რა დიდ-ძალ სარჩოს ჰკარგავს ხალხი და, რასაკვირველია, დიდი ყურადღებით და პატივისცემით უნდა მოვეპყრათ იმ ორგანოს, რომელიც ცდილობს, მწარმოებელთა ნაყოფის აღებ-მიცემობა იმ გვარ კალაპოტში ჩააყენოს, რომ ხალხს, რაც შეიძლება, ნაკლები ზარალი მიეცეს და იმ რიგად ცხოვრების გზა ეკონომიურ ნიადაგზე გაუადვილოს...

შეუძლიან თუ არა აღნიშნულ საზოგადოებას მიაღწიოს თავის მიზანს? აქვე ვიტყვი, რომ არა. 1905 წელს მოვლენილმა პირობებმა ბევრი რამ დაგვანახვეს. ხალხმა თავის ინტერესებზე დაიწყო ლაპარაკი და თავის მიზნის მისაღწევად მიმოიძრა კიდეც. დასახული იდეალების განსახორციელებლად დიდი ძალა დასჭირდა, როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი. თავისი სურვილი ხალხმა საქმედ ვერ აქცია: იგი მოუმზადებელი გამოდგა. ძალად შეჩერებულ მოძრაობას სიმშვიდე-კი არ მოჰყვა, არამედ მოქანცულობა, ვინაიდგან ღრმა აღელვებას დიდი დაღლილობა მოსდევს. ჩვეულებრივ კალაპოტიდან გამოსულ ხალხს გზაკვალი აერია და გაშტერებული დარჩა... პირველი გონს მოვიდა ხალხის შეგნებული ნაწილი და, ამათ შორის, ინტელიგენცია. ფართო და ღრმა იდეალების განხორციელების დრომ განვლო. მებრძოლნი მიყუჩდნენ... ხანგრძლივი უმოქმედობა კი შეუძლებელი საქმე იყო. ხალხის შეგნებული ნაწილი ისევ გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე; ხოლო ვიწრო ფარგლში დაიწყო შრომა, მან მოჰკიდა ხელი განათლების, ეკონომიურს და სხვა საქმეებს. განათლების საჭიროებას დიდი ხანია ხედავს ჩვენი საზოგადოება და იხწვის კიდეც შეძლების დაგვარად. რაც შეეხება ეკონომიურ კითხვებს, რომლებსაც გვიყენებდა ჩვენი ქვეყანა, ამაზე მეტად ნაკლები ლაპარაკი იყო საზოგადოებაში; და უფრო ნაკლებად ფიქრობდნენ ქვეყნის ეკონომიურ მოთხოვნილებათა განხორციელებაზე. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ქართველებ შორის „სამეურნეო საზოგადოება“, რომელნიც—რომ მეტი არ ითქვს—სადღაც მიიმალა; ამავე მიზეზებმა გამოიწვიეს „საქონლის მომშენებელთა საზოგადოება“.

აქ ორი რამაა აშკარა. შეგნებულ ქართველებს სურს ქართველი ხალხის ეკონომიური ნაწარმოები რაციონალურ ნიადაგზე დააყენოს, განავითაროს ხალხში მრეწველობა, ხოლო აღებ-მიცემობის საქმეც თვით ქართველებსვე ჩაუგდოს ხელში. მე, როგორც ნაციონალისტს, არც ერთის და არც მეორისა წინააღმდეგ არა მაქვს რა. მაგრამ მოქმედების დაწყებამდე, ყოველი ადამიანი (გინა ჯგუფი) ვალდებულია ნათელ ჰყოს თავისი მისწრაფების პრინციპი; ასწორ-დასწორის თავის მოქმედების მთავარი აზრი იმ მხრივ, თუ რამდენად საღია მისი პრინციპი, როგორც პრაქტიკული საქმის ნიადაგი. შეიძლება თუ არა ამ პრინციპზე დამყარდეს სერიოზული პრაქტიკული მოქმედება? მე წინააღმდეგი არა მაქვს რა, როდესაც პრინციპზე თეორიული სჯაა, მის გამოსარკვევად ეს საჭიროც არის, მაგრამ როდესაც რომელიმე პრინციპს სარჩულად უდებენ სადღეისო პრაქტიკულ საქმეს, და ამ პრინციპს-კი არავითარი ნიადაგი არა აქვს თანამედროვე ცხოვრებაში,—მაშინ ამ გვარ მოვლენის წინააღმდეგ უნდა წავიდეს ყოველი შეგნებული კაცი. ვამბობ ამას იმიტომ რომ თუ საქმე დაამყარეთ უნიადაგო პრინციპზე, მაშინ თქვენი საქმე უსათუოდ უნდა მოისპოს. ეს კი იმედს უცრუებს ხალხს; ხალხი უმოქმედობას ეძლევა და ეჭვის თვალითაც უყურებს მეთაურებს. ამ გვარ ატმოსფერაში საზოგადოება ირყვნება, და, თუ ეს ასეა, დიდი სიფრთხილე საჭიროა უფრო მაშინ, როდესაც სამოქმედო ასპარეზზე გამოდის არა რომელიმე კერძო პირი, არამედ ჯგუფი: საზოგადოება, ამხანაგობა...

სწორედ ამ მხრიდან—პრინციპის მხრიდან—მსურს გავითვალისწინო „საქონლის მომშენებელთა საზოგადოება“. საზოგადოებას, როგორც მის წესდებიდანა სჩანს, დაუსახავს მიზნათ—მთელი ამიერ-კავკასიის საქონლის მოშენების საქმე გაერთიანოს და საქონლის მომშენებელნიც მჭიდროდ შეაკავშიროს. სწორედ „საზოგადოების“ ამ დებულებაში ვხედავ ღრმა შეცდომას. ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამ აზრს ემყარება, რომელიც ამ დებულებას ხელმძღვანელ პრინციპად ჰხდის საქმის პრაქტიკულად წარმოებისათვის, ჰაერში ჰკიდია—თუ გნებავთ ჰკვდარია... რა საბუთი ჰქონდა „საზოგადოებას“ ან წარსულში, ან აწმყოში, რომ მოისურვა ამიერ-კავკასიის საქონლის პატრონების გაერთიანება? შორს რომ არ წავიდეთ, მკითხველს მოვაგონებ მოძრაობის ხანას. ყველას კარგად ახსოვს, თუ რა ქიშპობა, შუღლი და შური ჩამოვარდა ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ერებ შორის. ნაციონალური უთანხმოება, რომელსაც ღრმა მიზეზები აქვს აწმყოში და წარსულში, უსათუოდ იჩენს თავს, თუ როგორმე მაგისთანა საზოგადოება შესდგა. ერთ საზოგადოებაში, საერთო საქმის გასაძღოლად მოათავსოთ: ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი, ლეკი... ეს უტოპიად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდგან ეს კავშირი ყოვლად წარმოუდგენელი მოვლენაა. ამ ჩემ აზრს დავასაბუთებდი ფაქტებით სხვა და სხვა წყაროებიდან, სხვათა შორის, დღევანდელ დაწესებულებებიდანაც, მაგრამ ამ ჟამად დამტკიცებას თავს ვანებებ იმ მოსა-

სახალხო წარმოდგენების მართველნი ავლაბარში, ამისათვის მოვიყვან მხოლოდ ათი წარმოდგენის ცნობას პირველიდან, თუ რა პიესები დაიდგა ქართულ ენაზე და რამდენი შემოსავალ გასავალი ჰქონდა.

ითამაშეს შემდეგი ქართული პიესები: „პეპო", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". „ციმბირელი", „გაცრუებული იმედები", „არსენა", „ხანუმა", „თამარ-ბატონიშვილი"; ხალხისავე თხოვნით კიდევ განმეორებულ იქმნა „თამარ-ბატონიშვილი", „და-ძმა", „კინტო", და „დედა და შვილი". სულ ამ ათი წარმოდგენის შემოსავალი იყო **380** მ. **85** კაპ. ხოლო გასავალი **446** მ. **11** კაპ. ასე რომ შემოსავალს გასავალმა გადააჭარბა **65** მ. **25** კაპ. რომელიც დაიფარა ამხანაგობის საწევრო ფულიდან. ასე, რომ მთელი წლის განმავლობაში ამხანაგობამ ოცდა-ათამდე წარმოდგენა გამართა, ვიდრე მეორე თეატრის დამაარსებელი ბ. არაქსიანი მოევლინებოდა ავლაბარს.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში თვით ის სომხური სცენის-მოყვარენიც დამემოწმებიან, რომელთაც ჩვენთან ერთად დაიწყეს სომხური წარმოდგენების მართვა. აგრეთვე, იმედია, ასეთი ყალბი ცნობებისათვის, რომელიც ბ. ლემ მოჩმახა, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ და შესაფერ პასუხსაც გასცემენ სომხურისავე გაზეთის საშუალებით, რომ პირველი თეატრი ავლაბარში ბ. არაქსიანმა კი არ დააფუძნა **1903** წელს, არამედ ბ. მურაშკომ დაარსა **1902** წელს და ათი წელიწადიც **1912** წელს შესრულდება.

რაც შეეხება იმას, რომ ზემოხსენებულ ავლაბრის თეატრის გამგეობას დაუდგენია დღესასწაულის გამართვა—ეს მათ სრული საკუთარ უფლებას შეადგენს; ხოლო პირველი თეატრის დაარსების დღესასწაული კი არ იქნება, არამედ ეს უნდა იდღესასწაულონ, რომ **1903** წლიდან ბ. არაქსიანმა მონოპოლიით აიღო ავლაბრის თეატრი და ამით მან მრავალ გზით შეუშალა ხელი სახალხო იაფ ფასიან წარმოდგენების მართვას ავლაბარში. შემდეგში ისრე გარყვნა თეატრის საქმე, რომ უთვალავი სცენის-მოყვარეთა დასი აღმოაჩინა, რომელთაც ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მოსვენება არ მისცეს ავლაბრის ხალხს ძალის-ძალით ბილეთების მოჩუჩებით.

აი, ამას თუ იდღესასწაულებენ!

ავლაბრელი ნინია.

უცხოეთისკენ

მივდივარ, ვშორდები ყველაფერს რაც ჩემთვის მიმზიდველი და სანატრელი იყო. რატომ? ამის პასუხს მხოლოდ ჩვენი წინაპრები თუ მომცემენ, მაგრამ საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მკვდარნი სდუმან. ხოლო ისტორიის წინაშე ხშირად მათ გამხმარ ძვლებსაც პასუხი მოეთხოვება. პაპა ერთს ფეხს მხოლოდ გადასდგამს, მის შთამომავლობას კი ისეთი უღელი ედგმება კისერზე, რომ იზნიქება და ლამის სულ გაისრისოს. რას იზამ? ბევრიც აძაგო, საქმეს ხომ არ ეშველება რა.

ვეშურები ბათომისაკენ. მეჩქარება. ხოლო რა ბედმა ზურგი მომაქცია, აქაც მიორგულებს. ბათომში ერთი კაცი შავი ჭირით გარდაიცვალა. ამას მოჰყვა კარანტინი.

სხვა რა დამრჩენია, მივმართე ფელუგას, მე რას გავაწყობდი? დამხმარე გამომიჩნდა, დაფაცურდა, როგორც შეჰფერის ფეხ-მარდ გურულს და გამომიცხადა, ელავ ფელუგა მიდის და დაეშურეო. მივვარდი ნავთსაყუდელს, მეფელუგე უკვე აპირებდა წასვლას. ჩავჯექი, როგორც იქნა. ერთი ნატეხი მჭადი და ერთი პური კი ვიშოვე ხელად და გზას შევუდექი. ზევით მეფელუგე ხუთ-მანეთად გამირიგდა, მაგრამ ფეხი ჩავდგი თუ არა, ილოტავა, ამ ფასად არ წაგიყვანო. მივუმატე მანეთი, თავი გააქნია, ასე მანეთები ვუმატე და თუმანზე ამიყვანა. მაშინ ნიჩბები მოუსვა და მეც პირი უცხოეთისაკენ ვიბრუნე. ჩემი მენავე ქართულადაც ლაპარაკობდა, გურულის კილოთი. ვკითხე, სადაური ხარ მეთქი? აქაურიც ვარ და იქაურიცაო. მაშინ მივხვდი, თუ რატომ თავიდანვე გამოდგა ორპირი. გამახსენდა ჩვენი ორპირიანი თანამემამულენიც, რომელნიც ჩვენც გვატყუებენ სამშობლოსათვის ვიღვწითო, სხვებს თქვენ თავს ვაცნობთო, თქვენი დიპლომატები ვართ სხვა ერთა წინაშეო და სხვებს კი ემსახურებიან, და ვაპატიე ჩემს აქაურ-იქაურს მისი პირველი ტყუილი. ვსთქვი: ჩვენში განათლებულნი ორპირობენ და შენ რომ იორპირო, რა გასაკვირველია მეთქი. გარიგებით უნდა მივეყვანე ოსმალეთის პირველ ნავთსაყუდელში, სიფაში. იმის მაგიერ სულ სხვაგან ამოვყავ თავი. ბუნება შესანიშნავია არც სიცხეა, არც სიცივე, შემოდგომის საამური სითბოა. მოშორებით ამაღლებულა თოვლიანი მთის რკალი. მას გვერდით აჭუჩვია მწვანით შემოსილი მომცრო მთა. აქ ჰხედავთ დაფნას, ბაძგარს, წყავს, შქერს, სუროთი-შემოსილ ხეებს, ბზას, განსაკუთრებით კი თქვენ თვალს იტაცებს უკვე დაყვითლებულ ფორთოხლებით და ლიმონებით დახუნძლული ხეები. ერთი სიტყვით, აქ ზამთარს ჯერ ფეხი არ შემოუდგამს, და, მგონია, ვერც შემდეგში შემოდგამს დიდი ხნით, ვერც ბუნებაში და ვერც ხალხის ცხოვრებაში. ალაგ-ალაგ კოხტად მოწმენდილ სკვერებზე გამოჩნდა თეთრად შეფითქლული ორ-სართულიანი სახლები. ერთი სიტყვით, ირგვლივ სინამდვილედ ქვეყნის ოცნებაა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ოცნება საკმარისი მასაზრდოებელი არაა, სამწუხაროდ მომშივდა. მივმართე ჩემს მენავეს, რომელმაც წამოსვლისას მანუგეშა, ნუ შესწუხდები, საჭმელი ბლომად მაქვსო. ამოიჩნდა პურს გარდა მარტო ჰალვა, რომელიც ჩემთვის არაფერი მიმზიდველი იყო. მაშ მითხრა, აბა შარბათს გაგიკეთებო, მეც რაღაცას ველოდი. მოიტანა დიდი ჯამი, ჩაამტვრია შიგ ბლომად შაქარი, დაასხა ცივი წყალი, მიუს-მოუსვა პურის ნატეხი და მიმიპატიჟა. მე მადლობა ვუთხარი და ისევ ცივი მჭადის ლოღნას შევუდექ, თუმცა ინდოურის მდგომარეობაში ხშირად ვვარდებოდი, მაგრამ მაინც ჩემი ბავშობიდანვე მოსაზრდოებელი მჭადი იყო, რომელიც ბევრჯელ ისე მომენატრებია. მენავეები კი გვაძღლევდნენ პურს შარბათში და მადიანად შეექცეოდნენ. საღამოც მოახლოვდა. რვა საათი იყო როცა მოშორებით პატარა ყურე გამოჩნდა. მის პირზე კოპწიათ მორთული ქალაქი, ეს ხოფა იყო.

იმედი მომეცა, მივედი სამშვიდობოს მეთქი, მაგრამ დახეთ ჩემს განცვიფრებას, მეფილუგეს მიახლოვების მაგიერ ჩვეულებრივზე შორს წავიდა და ჩვენც ცოტა ხანს შემდეგ ხოფას გვერდით ავუარეთ, ცოტა არ იყოს შევწუხდი, დავეკითხე მეფილუგეს, რა ამბავია მეთქი, ჩანაც მკვახედ მიპასუხა—შემდეგ გაიგებთო, როცა მოვთხოვე, აეხსნა, თუ რაში იყო საქმე, მითხრა, ხოფაში რა გინდა, კიდევ ფროშარს რაზეში წაგიყვანო. მეც იმედს დავემორჩილე და ულონობის ნიშნად მარილიან ტომარაზე გვერდი მივასვენე. დაღამდა. ქარმა იმატა, ფილუგა მიჰქრის გვერდზე გადაწოლილი. ზვირთები თვალში მიშხაპუნებენ. ვის მოაგონდება ძილი? მე მიტაცებს მენავეთა სიმკვირცხლე, რომელთაც ერთი წუთი მოსვენება არ აქვთ ხან იალქანს ეცემიან და შეჰკეცენ, რომ ნაკლები სივრცე ეჭიროს, ხან მარილიან ტომრებს წააფრინდებიან და ფილუგის მეორე მხარეს გადმოსწევენ, რომ ამ ნაირად ბუნების ძალას შეედავონ და ფილუგა არ გადააბრუნონ, გაჩქარებით პასობენ, ხან აქეთ ეცემიან, ხან იქით. სტიქიონი მძვინვარებს, მაგრამ გული მაგრად გაქვს, რადგან გრძნობ, რომ ნამდვილ ზღვის შვილთა ხელში ხარ. ლაზები ძველადანვე დახელოვნებული ზღვაოსნები იყვნენ და დღესაც დიდის ხალისით და გატაცებით ეტანებიან ზღვაოსნობას. ნავების, ფილუგების და სანდლების რიცხვი უთვალავია. აქაურ კაცისთვის ნავი იგივეა, რაც ჩვენებურ გლეხისთვის ურემი. ჭანი ზღვას შეეზარდა, ზღვა ჰკვებავს მას, ზღვით მოგზაურობს, ზღვაში ცხოვრობს.

როგორც იქნა გათენდა. შორი ახლო სოფლები მოჩანს. ჩემმა მეფილუგემ ნაპირისკენ ქნა პირი, ამოიღო დამბაჩა და იქით-აქით ცქერა დაიწყო. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, ჩამაფიქრა, მაგრამ მალე ფიქრები მოვიშორე. ვთქვი, სულ ერთია რაც მომივა, ჩემი საქმე მაინც იმ გაბრიელს მომაგონებს, რომელიც მუდამ მიდის-მოდის ხოლო მადლიერი არავინ ჰყავს-მეთქი და ცოტა სტვენას კი უნებლედ ვუმატე. ბოლოს ამოიჩრიეს ერთი უდაბური ნაპრალი კლდე. ახლო-მახლო ბინადრობა არ ჩანს. მხოლოდ სამიოდე ბილიკი იკლაკნება ამ კლდეზე. მიაყენეს ფილუგა ნაპირზე, ერთი მენავე სადღაც გაჰქრა. არ გასულა ნახევარი საათი და ორი კაცი გაჩნდა. ჩაქურა ეცვათ, თორემ ნამდვილი მეგრელები იყვნენ. მენავემ ხელად ცეცხლი გააჩაღა. მოვიდნენ მთიულები, ამოიღეს პაპიროსი და გააბეს ბაასი. მომაგონდა ჩვენებური კუდაბზიკა აზნაურები, ეკლესიის გალავანში ცაცხვის ქვეშ ფეხს რომ მოიკეცენ და ცის და მზის ამბავს მოჰყვებიან. აქ რასაკვირველია, უფრო პოლიტიკა უყვართ, ხანდისხან გადააფურთხებენ, აქაც თავისებურები იხატება, რომელსაც მხოლოდ მაშინ წარმოიდგენთ, ქანდარაზე მჯდომი მიმინო თუ გინახავთ. მენავეებმა ამოიღეს დიდი პური გაუჭრეს დანა და მიაწოდეს მოსულებს. ისინიც მგლებივით ეცნენ, თითქო სამი დღის მშივრები არიანო და რამდენიმე წუთს პურის ფინჩხაც არ დარჩენილა. გამახსენდა, თუ როგორ მეტყოდნენ: „შენ რა გიშავს, ყოველ დღე ჩაის სვამ და თეთრ პურსს სჭამო."

აქაც მხოლოდ სიმინდი მოდის და ხალხი პურის ნატრულია. არ გასულა ერთი საათიც და დაკლაკნილ ბილიკებზე გამოჩნდენ ჩადრით შეფუთვნილ ქალების აჩრდილები. მენავეები ხელად აფაცურდნენ, მარილის ტომრები ზედი-ზედ გადმოდიოდა ფილუგიდან. ქალები ჩამოვიდნენ ქვევით, მაგრამ ჩვენ არ მოგვეკარნენ შორი-ახლოს შეჯგუფდენ. იმათ მენავეებიც არ მიჰკარებიან. ისევ იქაურმა კაცებმა ტომრები მიზიდეს, ქალებმაც თოკები გამოიღეს ტომრებს საიდლია-მხარეები გაუკეთეს, და დარაის ჩადრზე მოიდვეს ოთხფუთიანი მარილის ტომრები და შეუდგნენ ციცაბო აღმართს. ამ დროს გავიხედე და ცოტა მოშორებით შევნიშნე ვაჟკაცი, ხურჯინზე გადაბარჯღლულიყო და მადიანად შეექცეოდა ტკბილ ნაყოფს. მოშორებით კი ერთს სერზე ქალს წალდი ეჭირა ხელში და საყანედ ადგილს ამზადებდა. გადმოზიდეს მარილი და ჩვენც გავსწიეთ ჩემი ფილუგა ხელ-ახლა ნაპირს ძალიზე დაშორდა და ზღვისკენ ჰქნა პირი. შორს სოფლები გამოჩნდა. ზღვა მოფენილი იყო ნავებით და ფილუგებით, რომელთა იალქნები გაპენტილ ბამბასავით ბრჭყვიალებდა მზეზე. აქა-იქ სროლის ხმა ისმოდა. ხალხი ნადირობდა ზღვის ღორებზე, რომელთაც ქონისთვის ჰხოცავენ. ჩემი მეფილუგე გაექანა ერთს ნავისკენ, რაღაც დაელაპარაკა. ნავი გვერდით ამოგვიდგა, ახლა მიაწოდეს სამი პურის ფქვილიანი ტომარა, შემდეგ მეორე მენავისკენ გავექანეთ, ასე გაგრძელდა ჩვენი მოგზაურობა ნავიდან ნავისკენ, სანამ ფქვილი სულ არ მოვიშორეთ. მაშინ მეფილუგემ გამომიცხადა, დღეს რიზეში წასვლა არ შეიძლება, იქ კარანტინია, მე წავალ, შენ კი ნავზე გადადი და ჩემს სოფელში წაგიყვანენ, იქ ღამეს გაათევ და ხვალ რიზეში გასწევო. მეც დავეთანხმდი, სხვა რა გზა მქონდა გადავიბარგე ნავში, ვიბრუნეთ პირი სოფლისკენ. ის იყო მივახლოვდით ნაპირს, იქ თოფი გავარდა, მენავემ კი ზღვისკენ მოუსვა. თურმე ეს ნიშანი იყო, რომ ნაპირზე, სადაც უნდა გადმოვსულიყავით, დარაჯი იდგა. ვიყიალეთ ზღვაში სამიოდე საათს, კიდეც დაღამდა და ხელ-ახლა გავსწიეთ ნაპირისკენ. როგორც იქნა, მივადექით ნაპირს, ვისკუპე და სოფლისკენ გავუდექით. მივყევი ერთს ყმაწვილს, მელაპარაკება ოსმალურად, მე კი თავს უქნევ. სოფელი მეტად კოხტა, მშვენიერია. სერზეა გაშენებული, ყველას თავისი ეზო აქვს, როგორც გურიაში. ალაგ-ალაგ მოჩანს ბაკნებზე (ბოძებზე) შემდგარი ოდები, უფრო კი ორ-სართულიანი სახლებია. მივედი ერთი სახლის კარებთან, ჩემმა გამყოლმა კარებზე დააკაკუნა და ხელით მაჩვენა—არც აქით გაიხედო, არც იქითო, ალბად იქ ქალები იყვნენ. შევედი ერთს პატარა ოთახში. რამდენადაც შორიდან სახლები მიმზიდველი და ლამაზია, იმდენად შიგნით დაუდევრობის და უკულტურობის დაღი აზის. ორი ძველი სკივრი, იატაკზე ჭუჭყიანი ლეიბი. არც მაგიდა, არც სხვა რამ სამკაული. მე შემომიტანეს ერთი სელის სკამი. ცოტა დავისვენე. შემდეგ მოიტანეს ვახშამი. ჭურჭელი ხისაა უმეტესად. ტახტიც ხისა იყო, ვახშამი შემოიტანეს ხონჩით, რომელსაც ერთი მტკაველი ფეხი ჰქონდა. აქ იყო ცივი, სქლად გამოცხვარი კადი, კონით და შაქრით შეზავებული ხავიწი,—მუხლამა, და კიდევ ყურძნის ტკბილზე გამზადებული საჭმელი, რომელიც თათარას მოგვაგონებდა ბეთმეზი. ყურძენი აქ ბლომად მოდის, ვაზი ხეზეა აშვებული, უპატრონოდ როგორც გურიაში. ღვინოს არ აყენებენ, ინახავენ ტკბილად და ძმარსაც აკეთებენ. აქვე იყო პურისაგან გაკეთებული ტკბილისკვერები. საზოგადოდ აქ შაქარი დიდ ხმარებაშია. ან კი რატომ არ ჰქნება, როცა რუსეთიდან გამოტანილი შაქარი აქ გირვანქა შაურად ფასობს. შემდეგ მოიტანეს მთელი მათრათი ფორთოხლით სავსე. მეც კმაყოფილი შევექცეოდი. აქ გასულა ერთი საათი, მასპინძელმა გამომიცხადა, დაღლილი ვართ. ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა დავწოლილიყავი. მეც გავეხვიე წვრილან საბანში და თუმცა ძალიან დაქანცული და უძილო ვიყავი, მაინც მთელ ღამეს თვალი ვერ დავხუჭე. ჭუჭყიან იატაკზე და ჭუჭყიან ქვეშაგებში ვერა ვძლებდი. დილა ადრიან ავდექი, ბარგი ისევ სოფელში დავტოვე, მე კი ნავით რიზესკენ გავწიე ხოლო ბარგი ცხენით დავაბარე. ერთს კლდის პირს ჩამომახტუნეს და მეც ქალაქისკენ გავეშურე.

ნამი.

მოწერილი ამბები

სოფ. მეჯვრისხევი (ქართლი)

როგორც უკვე მოხსენებული ჰქონდა მეჯვრისხევიდან ბ-ნ წერაქს ჩვენ დაგვინიშნეს სკოლის გამგედ ბერძენი რომელმაც არ იცის ქართული ენა. ამ გარემოებამ დიდი ცვლილება შეიტანა ჩვენს სკოლაში, გაუმჯობესობის მაგივრად ჩვენ სკოლას უსიცოცხლობა და უკან სვლა დაეტყო. ჯერ ერთი, როგორც ქართული ენის არა მცოდნემ ბერძნით მეცადინეობაში დიდი ნაკლი მოიტანა. საქმე ისაა რომ მოგვდენა პირდაპირ უარ ჰყოფს **1881** წლის გეგმას რომელშიაც ქართულ ენას მესამე განყოფილებაშიაც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენ კი სულ სხვასა ვხედავთ. ეს ახლად დანიშნული მასწავლებელი მეცადინეობს მე III-მ და IV განყოფილებაში. ვითომ იმ მოსაზრებით რომ აქ უფრო ადგილი იქნება მისთვის სწავლის გადაცემა, მაგრამ, ვაგლახ, რომ უქართულოდ მაინც ვერას გააწყობს. და მუნჯურ მეთოდს უნდა მიჰმართოს. ჩემის აზრით მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ უმაღლესად დამტკიცებულ გეგმას დაუბრუნდნენ და ასწავლონ ისე, როგორც ნაჩვენებია გეგმაში.

— ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებაზე იყო აძრული საკითხი სადაც ჯერ არს, მაგრამ უპატრონობისა გამო ეს საქმე ჯერ არ განხორციელებულა. აქაური ბატონ-პატრონები კი ბევრს არ დაგიდევენ.

— გასულ ზაფხულში ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ცაგარლის პიესა „ციმბირელი", რომელმაც მოგვცა წმინდა შემოსავალი 60 მ. ეს ფული აბარია „ხაზინადარს" ბ-ნ ლიაძეს, შემდეგ იგი გაემგზავრა სასწავლებელში და არ ვიცით ეს ფული რადა იქნა.

საკვირველია ღმერთმანი რადა სდუმს სცენის მომწყობი „კომისია", რომელმაც ჩააბარა ეს ფული ან კი რა მოსაზრებით? ნუ თუ აქ არ მოიპოვებოდა ისეთი სანდო მცხოვრებნი, რომელსაც შეეძლო შეენახა ეს ფული? ეხლა შეიძლებოდა ეს ფული ბიბლიოთეკისათვის მოეხმარა, ან წარმოდგენის მოწყობისათვის. ეს ამტკიცებს „კომისიის" დაუდევრობას: ალბად იმათ არასურთ ანგარიში გაუწიონ საზოგადოებას.

ან და სად უცადოთ ჩვენ მოსულებს ნუ თუ ჩვენ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამდენი საქმიანობა ვერ უნდა

ზრებით, რომ ეს ჩემი აზრი თავისთავად ცხადია. მაგრამ ერთი რამ უნდა ვიკითხო: როდემდის უნდა ეძლეოდეს ქართველი ინტელიგენცია ოცნებას? როდემდის უნდა ხარჯავდეს თავის ხანმოკლე და სუსტ ენერგიას ფანტაზიების აშენებაში?.... ეს ადვილი ასახსნელია: ოცნებობას, ფანტაზიას, მეტად ნაკლები შრომა სჭირდება, ენერგიის მცირედი ხარჯვა... ჩვენი ინტელიგენცია მიილტვის იქით, საით უფრო ნაკლებ დაბრკოლებას ჰხედავს... ეს ხდება მაშინ, როდესაც ცხოვრება ყოველ დღე, ყოველ მხრიდან ხან ყვირილით, ხან გმინვით უთითებს სად რა სტკივა, სად რა უჭირს...

შეუძლებლად მიმაჩნია ზემოხსენებულ „საზოგადოების" დაარსება სხვა მხრივაც. ამიერ-კავკასიის საქონელი, მაგალ., ცხვარი,—სულ სხვა და სხვა ჯიშისაა და მისი ნაყოფიც სხვა და სხვა ღირსებისაა. თუმცა ალებ-მიცემობის საქონლის ღირსების გამორკვევა არც თუ ისე ძნელია, მაგრამ საქმე არც ესაა კითხვა მაშინ რთულდება, როდესაც დასჭირდებათ საქონლის ცალკ-ცალკე დაფასება: რამდენჯერ მეტად ღირს ერთი საქონელი მეორეზე. ამ შემთხვევაში „საზოგადოების" წევრთა შორის უთანხმოება ბუნებრივად ჩამოვარდება: ყველა, ვინც შევა საზოგადოებაში, იმ აზრით გახდება წევრად, რომ ფირმის სახელით თავის საქონლის ფასები ასწიოს. ფირმას კი სახელს უკეთებს მაღალი ხარისხის საქონელი, საუკეთესო საქონელმა უნდა გაიტანოს მეორე და მესამე ხარისხის საქონელი.—ასე ფიქრობს ამხანაგობის ყოველი წევრი; და ამ გვარი ქომაგი, გამტანლობა ბუნებრივი თვისებაა ამხანაგობისა. მერე არავინ იკითხავს—ისურვებს თუ არა მაღალ ღირსების საქონლის პატრონი შეუერთდეს დაბალ ხარისხის საქონლის პატრონს? ესეც იმ ჯგუფში, რომლის შედგენას აპირებს „საქონლის მომშენებელთა საზოგადოება". არა მგონია, თათრისთვის თავი იტკიოს თურქმა, ქართველისთვის სომეხმა...

სწორედ მოგახსენოთ, არც საჭიროა ამისთანა საზოგადოება. ამხანაგობის დამაარსებელნი, ალბად, ფიქრობდნენ, რომ ალებ-მიცემობის საქმეში ნაციონალურ კითხვას რა ნიადაგი აქვსო. თუ ეს მართალია, ღრმად შემცდარან ისინი: ნაციონალური ინტერესი ისევე მძლავრად იჩენს ხოლმე თავს ეკონომიურ მოვლენებში, როგორც პოლიტიკურში. გავახსენებ მკითხველს, თუ რა ბრძოლა ხდება სხვა და სხვა ნაციათა შორის ეკონომიურ ნიადაგზე. ამ ზოგად დებულების მიხედვით, მე გამოვარკვევ „საქონლის მომშენებელთა საზოგადოების" მნიშვნელობას ნაციონალურის თვალხედვით. ყოველ, ასე თუ ისე, თვალსაჩინო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ნაციონალური ხასიათი. დაწესებულება უნდა გამომდინარეობდეს ერის ცხოვრების პირობებიდან და ემსახურებოდეს მის რომელიმე მოთხოვნილებებს. როგორიც გინდა იყოს დაწესებულება—კულტურული, ეკონომიური, პოლიტიკური—მას უნდა ჰქონდეს ნაციონალური ხასიათი, მას უნდა ედვას საფუძვლად ნაციონალური ინტერესი. ამის გამო ყოველი ეკონომიური დაწესებულება ნაციონალურ ინტერესს ემსახურება და მისი ფესვები ღრმად და ფართოდ იშლება ხალხში. შეიძლება ერმა პოლიტიკური თავისუფლება დაჰკარგოს—როგორც საქართველომ, —მაგრამ მოსალოდნელია არა თუ შეინახოს თავისი ეროვნული ფიზიონომია, არამედ განაძლიეროს კიდეც. ამგვარად პოლიტიკური თავისუფლებაც მოიპოვოს. მე ვგულისხმობ აქ სხვა და სხვა დაწესებულებათა ბრძოლას უკულმართ ძალებთან ერის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებისთვის. სხვათა შორის, ერის ცხოვრების საუკეთესო ეკონომიური პირობები ნამდვილი თავდებია იმისი, რომ ერი სცოცხლობს და ვითარდება, რომ ერი ყოველ მხრივ ღონიერდება და მისი მომავალი თავისუფალ ცხოვრებისა უზრუნველყოფილია. თუ ერმა პოლიტიკური ფიზიონომია დაკარგა და თვით არსებობის პირობები მოესპო, —ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ერს სამუდამოდ ბოლო ეღება, რომ იგი მომაკვდავია. ერს შეუძლია ახალ-ახლად აღორძინდეს—კულტურულად და ეკონომიურად, რასაც ნათლად ვხედავთ რუსეთის პოლონეთში, თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ყოველ ეკონომიურ დაწესებულებას, ყოველ ეკონომიურ ცდას, —თუ იგი ნაციონალურ იდეას ემსახურება,—უნდა მოვკიდოთ ხელი სერიოზულად, ღრმა დაფიქრების შემდეგ; და ყოველი გულწრფელი ქართველი ზნეობრივად ვალდებულია ხელი შეუწყოს ამგვარ საქმეს, გამოესარჩლოს მას...

ეკონომიურ ნიადაგზე ერი პოულობს ეკონომიურ ფიზიონომიას, თავისებურობას. ეკონომიური თავისებურობა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი ერის მრეწველობა, ალებ მიცემობა ძირითად განსხვავდება მეორე ერის ამავე დარგებისაგან. თუ რომელიმე ერმა თავისი მრეწველობა და ალებ-მიცემობა აიყვანა თვალსაჩინო წერტილამდე, მაშინ იგი თამამად გამოდის მსოფლიო ასპარეზზე—ბაზრაში. ამ ერს უკვე იცნობენ და პატივსაც სცემენ კიდეც.

ეკონომიურ განვითარების თვალსაზრისით რომ ავწონ-დავწონოთ „საქონლის მომშენებელთა საზოგადოება", უნდა კიდევ გავიმეოროთ. რომ ეს „საზოგადოება" უნიადაგოა, რომ იგი ფიქრობს თავის მოქმედების ჰაერში გადატანას, რომ იგი ფიქრობს იმოქმედოს სივრცესა და დროს გარეშე. გზა დაულოცოთ!.. თუ „საზოგადოება" იმას გვეტყვის, რომ საქართველოს ცხოვრება არ იძლევა იმ ნიადაგს, რაზედაც შესაძლებელია გახდეს თავისებურ ეკონომიურ დაწესებულების დაარსება, მაშინ მე გულახდილად ვუპასუხებ—ეს მტკნარი სიცრუეა. საქართველოს ცხოვრებაში და ბუნებაში დიდი ხნის მომზადებულია ნიადაგი ხალხის ეკონომიურად განვითარებისათვის; სავალალოდ საქმეს პატრონი არა ჰყავს. საქართველოს ბუნება, ყველამ ვიცით, მდიდარია. ქართველი ხალხი აწარმოებს ეკონომიურ იმისთანა დარგებს, რომელნიც,—განვითარებულ ერის ხელში რომ იყვნენ,—აქამდის ცნობილი იქნებოდნენ მსოფლიო ბაზარში, და ჩვენი სახელიც ეცნობებოდა ბევრს, ჩვენი ხალხი, სხვათა შორის, აყენებს საუკეთესო ღვინოს, მისდევს საუკეთესო ჯოგის ცხვრის, მოშენებას... და რამდენი დაწყობილი და დასაწყისი სამრეწველო და საალებ მიცემო საქმეებია ჩვენში—ამას ეხლა ვერც კი წარმოიდგენს კაცი... მაშასადამე ჩვენი ქვეყანა ბევრ საბუთებს იძლევა იმისთვის, რომ დავიწყოთ ეკონომიური მოქმედება, დავაარსოთ თავისებური ეკონომიური ორგანიზაციები და შევქმნათ ორიგინალური მრეწველობა და ალებ-მიცემობა. ჩვენ ნაწარმოებს დავარქვათ ჩვენი სახელი. ჩვენი ღვინო, ჩვენი ცხვარი (ხორცად), მატყლი, ყველი, ჩვენი აბრეშუმი, თამბაქო და ბევრი სხვაც ჩვენივე სახელით გავიტანოთ შინა და მსოფლიო ბაზარში. ამიერ კავკასიაში კი არა, არამედ მთელ კავკასიაში, მთელ რუსეთში და ბევრგან სხვაგანაც ჩვენ ღვინოს, ჩვენ ცხვარს (ხორცად) არა შეედრება-რა. ნუ თუ ეს აშკარა ძვირფასი საქონელი, სხვა უხეირო საქონელთან ერთად, უნდა გავიტანოთ ბაზარში ამიერ-კავკასიის ფირმის სახელით? არა და არა! განსაკუთრებულმა ერმა უნდა შექმნას ნაციონალური წარმოება.

თუ ამ წერილის დედა-აზრი მართალია, თუ ყოველი ერი ვალდებულია თვით-გამორკვევის გზას დაადგეს,—რა მხრიდანაც არ მოხდეს ეს,—მაშინ იმგვარ საზოგადოებას, როგორიც არის „საქონლის მომშენებელთა საზოგადოება", ქართველ ერში მოქმედების ნიადაგი არა აქვს, იგი უნდა მოისპოს და სხვა გზას დაადგეს ჩვენთვის დღეს მეტად საჭირო სამეურნეო საზოგადოება. ჩვენ უნდა შევეცადნეთ, რაც შეიძლება მალე დავაარსოთ (უკაცრავოდ, დამავიწყდა, რომ უკვე დაარსებულია!) ამგვარი საზოგადოება და რაც შეიძლება დემოკრატიული ხასიათი მივცეთ. სამეურნეო საზოგადოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის, და მომავალში ხომ მისი ფასი არ ითქმება. ჩემის აზრით, ტფილისში რომ დაწესდეს ცენტრალური ერთი ამგვარი საზოგადოება, მაშინ ადვილად შეიძლება „საქონლის მომშენებელთა საზოგადოება" ამას დაუკავშიროთ; მაშინ უფრო ადვილია მოვაწყოთ მეურნეობის საქმე: გავაუმჯობესოთ მეურნეობის ნაწარმოები, მოვაწესრიგოთ ალებ-მიცემობა, გავხსნათ სპეციალური სკოლები, ვიყოლიოთ სპეციალისტები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობასა და მრეწველობაში.

ამ გვარ დაწესებულებას, მე ვგონებ, ყოველი შეგნებული ქართველი ხელს მოაწერს.

დ. ალბანელი.

გამოვიჩინოთ, რომ ჩვენვე შეგვეძლოს ჩვენი საქმების მოწესრიგება. **მოამბე.**

—

დაბა აბაშა (სამეგრელო). აბაშის უფასო ბიბლიოთეკა — სამკითხველოს სამზრუნველო საწევრო ფულის შეგროვებას უკვე შეუდგა. დაიქირავა ბიბლიოთეკაში მოსამსახურე და ბიბლიოთეკა-სამკითხველო ისევ კვალავინდებურად აამოძრავა, რაც ფრიად სასიამოვნოა.

აქ ერთი ჯურის ხალხია, რომელიც აბაშიდან მოთავსებულ ყოველ წერილზე ყურებსა სცქვეტენ და კორესპონდენტების ძიებასა და მათ წინააღმდეგ ამხედრებას შეუდგებიან ხოლმე. აქ არსებობს სავაჟო და საქალებო სკოლები. საქალებო სკოლაში დიდი უთანხმოება და გამწვავებული დამოკიდებულება არსებობს მასწავლებელთა შორის, მიზეზი ჭორიკანობაა და ერთმანეთში შურის ძიება. მით უმეტეს სამწუხაროა ეს მოვლენა, რომ ყოველივე კინკლაობა, უმეტეს ნაწილად, ხდება მოწაფეთა წინაშე. ამ გვარივე დამოკიდებულება აქვს საქალებო სკოლას სავაჟო სკოლასთან, როგორც გავიგე. ამ საქმის გამოსაძიებლად სახალხო სკოლების ინსპექტორიც კი ჩამოსულა საქალებო სკოლაში. არ ვეხებით საზოგადოდ საქმის დაყენებას საქალებო სკოლაში, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ რუსული ენის შემოღება პირველ განყოფილებაში სამოსწავლო წლის პირველ თვეებიდან არა სასიამოვნო მოვლენაა.

ამას წინად ურთიერთ იაშვილი სიმთვრალის დროს კვირიამ დასჭრა, ბ. იაშვილი, ფრიად მშვიდი კაცია, შემთხვევით მოჰხვდა ბახუსის მოთაყვანეთა წრეში. სმის დროს დაპარაკი მოუვიდა კვირიასთან, რომელმაც ჯერ რევოლვერით შეუტია, შემდეგ კი მივარდა და ხანჯალი დასცა თავში. საბედნიეროდ, ჭრილობა არა საშიში აღმოჩნდა. კვირია იმ წამსვე დაატუსაღეს, მაგრამ მეორე დღეს გაანთავისუფლეს.

დეკემბრის პირველ რიცხვებში მატარებელს ქვეშ მოჰყვა რკინის გზის მუშა ვასილი ბუსრიკიძე. მატარებელმა ორივე ფეხი მოსწყვიტა, დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

14 დეკემბერს სადგურზე იჭვით დაპატიმრეს და სენაკის ციხეში გაგზავნეს აკაკი გვინია. მას სილოვან სულაქველიძის მკვლელობას აბრალებენ; როგორც მკითხველმა იცის სილოვან სულაქველიძე, 5 დეკემბერს, ახალ სენაკში მოჰკლეს. **მაკოშვილი.**

წერილი პეტერბურგელ სტიპენდიატების მიმართ

ჩემდამი დაგზავნილ ღია წერილში, რომელიც მოთავსებულია „სახალხო გაზეთის“ 183 №-ში თქვენ, ბ.ბ. სტიპენდიატებო, ბრძანებთ: „სანამ არ გამარტავთ თქვენ პრეტენზიას, მანამ ჩვენ არ შეგვიძლია პასუხი მოგცეთ“, გ. ი. სამედიატორო სამართალში გამოგვწვიეთ. მე მეგონა თქვენი ქუთ. თავ. აზნაურებისადმი წერილი, თქვენთვის გასაგები იყო და საჭირო არ იყო იმის განმარტება, თუ რას შეეძლო ჩემი აღშფოთება. რადგანაც ჩემი მოლოდინი არ გამართლდა, იძულებული ვარ დავასახელო, როგორც თქვენ ამბობთ, „ჩემი აღშფოთების მიზეზები“. პირველ წერილში, ბ.ბ. სტიპენდიატებო, თქვენ შეეხეთ ქუთ. თავად-აზნ. სტიპენდიების გამგეთა უწესო და უხეირო მოქმედებას და სხვა და სხვა ადგილას აღნიშნეთ: „მეტი მოთმინების ძალა აღარ შეგვწევს... ამდენხანს კიდევ ვითმენდით —ის თავის მართლება, რომელიც მდივნისა და წინამძღოლისგან გვსმენია, მართალი გვეგონა“... „ეხლა კი დავრწმუნდით, რომ მცხნარი სიცრუე უთქვამთ... მცოდნე პირთაგან გვესმის—თქვენი ფულები ბანქშია წაგებული, აცალეთ, მოიგონ და მოგცემენო“... უნდა შეგნიშნოთ, რომ წერილში „მდივანი“ ნახმარია როგორც ჩემი გვარი და არა, როგორც მოხელე; ეს იქიდან სჩანს, რომ ერთ ადგილას თქვენ სწერთ: „ამას ცხოვრებაში ნათლიმამობას უწოდებენ და იურისპრუდენციაში რაკა ქვიან უთოდ მდივანს უწოდებენ, როგორც იურისტს“. ამ გვარად, ბ.ბ. სტიპენდიატებო, თქვენის აზრით მე თქვენ წინაშე თავი მიმართლდება, ჩემი ნათქვამი ყოველივე მტკნარი სიცრუე უთუოდ, თქვენი ფული ბანქში წამიგია; ნათლიმამობა გამომიჩენია და სხვ. მე კი გამტკიცებ, რომ ყოველივე ეს სიცრუეა. არავითარი დამოკიდებულება მე ფულის გზავნასთან არ მაქვს, არავის წინაშე თავის მართლება სტიპენდიების გაგზავნის შესახებ მე არ მჭირდება და, არც მქონია ბანქში ფული არ წამიგია, რადგანაც ბანქს არ ვთამაშობ. ამის შემდეგ მე მგონია, მიზეზი ჩემი აღშფოთებისა გასაგებია და მოვითხოვ თქვენი ვინაობა გამოაცხადოთ და სამედიატორო სამართალში გამომწვიოთ.

დ. მდივანი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ეგრედ წოდებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საშინელ ქარ-ტეხილად გადაიარა ქართულს სოფელზე. მან ძირიან-ფესვიანად შეარყია სოფელი, ბევრი რამ ახალი შეიტანა და დიდი დაღიც დაასვა ხალხის ფსიხოლოგიას. რაც უფრო მეტი დრო გავა, რაც უფრო დავშორდებით განვლილ მოძრაობას, მისი დამახასიათებელი თვისებანი უფრო თვალ-საჩინო გახდება. დასურათ-ხატება ამ ცხოვრებისა, როგორც ეს რამდენისამე ხნის წინად აღვნიშნე, დღეს ძალიან ძნელია, რადგანაც ამ ცხოვრების მონაწილენი და მოწმენი ობიექტივობას მოკლებულნი იქნებიან. ახალი ორიგინალური დრამა ბ-ნ ი. გედევანიშვილისა „მსხვერპლი“, რომელიც კვირას ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა, სწორედ ამ განმანთავისუფლებელ მოძრაობის მომენტებს გვიხატავს. გამოგიტყდებით, ცოტა ეჭვებით მივდიოდი თეატრში, მაგრამ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პიესა შინაარსიანი გამოდგა.

დრამატიული ხლართი პიესისა ძალიან მარტივია. ვანო (ბ-ნი ბ. მდივანი) სოფლის ერთი საუკეთესო ახალგაზრდათაგანია. ხალხის მოძრაობაში იგი აქტიურს მონაწილეობას იღებს. ვანოს უყვარს ნატო (ნ. დავითაშვილი), რომელიც თითქმის ძალით გიგუა ტეტიაშვილმა (ბ-ნი არადელი) დაისაკუთრა. გიგუაც მონაწილეა ხალხის მოძრაობისა, მაგრამ იგი თავის ხასიათით იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც მუდამ მის რყევაშია და ხასიათის სიმტკიცე აკლია. გიგუა ერთობისთვის მებრძოლი, მერე მძარცველად გადაიქცა. გიგუას სტრაჟნიკი შემოაკვდა. ბოქაულმა სოფელს მოსთხოვა მკვლელის აღმოჩენა. სოფელმა, რა თქმა უნდა, ვერ აღმოაჩინა მკვლელი. ბოქაული დაემუქრა, ეგზეკუციას ჩავაყენებ სოფელშიო. ამ ამბავმა საშინელი, თავ-ზარ დამცემი შთაბეჭდილება მოახდინა სოფელზე. ვანომ თავის განწირვა გადასწყვიტა და, სოფლის დასახსნელად, ბრალდება თვით იდო თავსა. ვანო დაიჭირეს და, როგორც სტრაჟნიკის მკვლელი, დაახრჩეს. გიგუა ტეტიაშვილს სინიდისი ჰქენჯნის, თითქმის სიგიჟემდე მიდის. ცოლთან ლაპარაკი მოუვიდა და მოჰკლა. მომაკვდავმა ნატომ შეგროვილ ხალხს ყველაფერი გამოუცხადა, გამოტყდა, რომ სტრაჟნიკის მკვლელი მისი ქმარი გიგუა იყო და არა ვანო. სოფელს უნდოდა ჩაექვავებინა გიგუა, მაგრამ პოლიციამ დაიფარა იგი და დაატუსაღა. ამით თავდება დრამა.

პიესაში მთლიანი დრამატიული ელემენტი არ არის. ჯერ ერთი, უმთავრესი მომქმედი პირი ვანო, რომელმაც თავისი თავი მსხვერპლად შესწირა სოფელს, პირველ მოქმედების შემდეგ აღარ არის. ავტორის ყურადღების ცენტრად პირველ მოქმედების შემდეგ გიგუა ტეტიაშვილია გადაქცეული. მეორეც, თვით ფსიხოლოგიური მომენტები გიგუა ტეტიაშვილისა საკმაო რეალიზმით არ არის დაწერილი. უკანასკნელ მოქმედებაში, მაგალითად, გიგუას მონოლოგი თანამედროვე ინტელიგენტის სულიერს ტანჯვას უფრო წააგავდა, ვიდრე სოფლის ტეტიის გოდებას.

მართალია, ბ-ნი არადელი ცდილობდა ეს ყალბი მომენტები თამაშით მაინც გაეშალაშინებინა, მაგრამ სიყალბე მაინც სჩანდა. ამან თვით არადელის თამაშობაზედაც კი იმოქმედა.

მიუხედავად ყველა ამ მცირე ნაკლულევანებისა, პიესა მაინც ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ავტორს მეტად ხელოვნურად უსარგებლნია კონტრასტებით. ორჯელ-სამჯერ აქვს გამოყვანილი ავტორს კონტრასტი სოფლის მოქეიფე საზოგადოებისა და გლეხ-კაცთა ტანჯვისა. კონტრასტი მასიურ სცენაში არ გამოიხატება. მეორე მოქმედებაში, თავ. სოლომონის (ბ-ნ ვ. გუნია) ოჯახში ქეიფია გამართული. სოლომონთან არიან სოფლის ექიმი, ქართველი პატრიოტი, რომელსაც არა სურს არც ერთი რუსული სიტყვა წარმოსთქვას, ბოქაული და სხვა მოქეიფე ახალგაზდანი. როდესაც ესენი ლხინში არიან, კუთხეში ნატო ემუდარება კნ. სონას (ქ-ნი ო ლეჟავა), გავლენა იქონიოს ბოქაულზე და გაანთავისუფლებინოს ვანო, რომელიც როგორც მას, ისე მთელს სოფელს უდანაშაულოდ მიაჩნია. ეს კონტრასტი ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ასეთივე სცენა, როდესაც ვანოს დედა (ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი) შემოიჭრება და ტირილით შვილის დახსნასა სთხოვს.

გარდა ამისა, ბევრი საინტერესო ტიპია გამოყვანილი, სოფლის ცხოვრების სურათებიც ნიჭიერათაა დახატული. მშვენიერი ტიპია, მაგალითად, მედუქნე საქო (ბ-ნი ვ. აბაშიძე). მეტად ცოცხლადაა დახატული, სხვა მეორე ხარისხოვანი მომქმედნი პირნიც, ორიოდ-სამიოდ წინადადებით, საკმაოდ ნათლად ახასიათებს ავტორი თვითოეულს მათგანს. რა დამახასიათებელია, მაგალითად ის სცენა, როდესაც სუფრაზე ბოქაული და ექიმი ერთმანეთს ჩაჰკოცნიან? ექიმი ქართველი პატრიოტი, მაშასადამე, დამცველი ქართველ ხალხის ინტერესებისა, ბოქაული, რომელიც ხალხის აშკარ, მოწინააღმდეგედ უნდა ჩაითვალოს, ერთმანეთს ჰკოცნიან! დიახ, ამნაირი არევ-დარევა გრძნობათა და ცნებათა, არევ-დარევა იდეური ფრიად დამახასიათებელია.

პიესაში ბევრი მასიური სცენებია ამიტომ პიესა სათანადო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა, ცუდათ რომ წარმოედგინათ. მაგრამ ჩვენი მსახიობების საბედნიეროთ, პიესამ ძალიან კარგად ჩაიარა. კარგები იყვნენ კერძო ამსრულებლები ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, არადელი, მაგრამ უფრო კარგი იყო მასიური სცენები. სწორედ მადლობის ღირსია რეჟისორი ბ-ნი შალიკაშვილი, რომ შრომა არ დაუზოგია და საზოგადოებას მშვენიერად დადგმული წარმოდგენა აჩვენა.

იმედია დრამატიული საზოგადოების გამგეობა გაიმეორებს ამ პიესას და ამით საშუალებას მისცემს ყველას, ვინც პირველად ვერ დაესწრო ამ წარმოდგენას, მეორედ მაინც ნახოს. **Homo.**

—

ბაქო. 15 დეკემბერს „მეზღვაურთა საკრებულო სავაჭრო ფლოტის“ დარბაზში აქაურმა სცენის მოყვარეებმა, ბ. დ. თევდორაშვილის რეჟისორობით, წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი დრამა „დამარცხებული“ პიესა ჰ. ირეთელისა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო; მაგრამ საუბედუროდ მოთამაშეებმა ვერ დააკმაყოფილეს საზოგადოება. მოთამაშეების უმრავლესობამ როლი არ იცოდა; მაგ. ბ. დ. ლეჟავა, ბაღდანიძის როლში. როლის უცოდინარობის მიზეზით შეწყდებოდა ხოლმე და იმეორებდა ერთ და იმავე სიტყვას. სუსტობდა აგრედვე ქ. ნ. ამაღლობელი, ნატალიას როლში. კარგი იყო ქ. ს. მენაბდე მეოთხე მოქმედებაში ქეთოს როლში. კარგად ითამაშა ჯაშუშ განოს როლი ბ. ა. ზაქარიაშვილმა, ის თითქმის ყველა მოქმედებაში შეუმჩნევლად და შესამჩნევის მიმიკით ასურათებდა განოს მდგომარეობას. ამხანაგების გაცემას და ტანჯვას, რომლის უცოდინარობა ეტყობოდა ბ. ს. ქურიძეს ნიკო ბერძიაშვილის როლში. ცუდად ჩაიარა აგრედვე მესამე მოქმედება, არც-ერთ მუშათაგანმა როლი არ იცოდნენ, და ამით ხშირ პაუზას აძლევდნენ, და სრულებით დაკარგეს მუშების მღელვარება და ცოცხალი დაპარაკი. გვარიანად თამაშობდა ქ. დ. ვახიშვილისა, დედა ელისაბედის როლში, თუ კი იმას მივიღებთ მხედველობაში რომ ის თურმე პირველად გამოდის სცენაზედ.

დასასრულ, ვიტყვი რომ ეს წრე რამოდენიმე ხანია არსებობს და სდგამს სახალხო წარმოდგენებს შავ ქალაქის „სახალხო სახლში“ და ხშირად იმათ უთავობა ეტყობათ კარგი იქნება რომ ბ რეჟისორი კარგად გაეცნობოდეს მოთამაშეს და ის მისცემდეს შესაფერ როლს, აგრედვე საგანდებულოდ გახდიდეს სცენის მოყვარეთათვის როლების დასწავლას რომ ამით, პიესის ავტორიც არ შეარცხვინონ და საზოგადოებასაც სცემდეს პატივს. **ეფენდი.**

შეცდომის გასწორება და ბოდიში

„სახ. გაზეთის“ მე-182 ნომერში მოთავსებული იყო ქუთაისიდან ჩემი პატარა შენიშვნა აქაურ სასწავლებელთა კანცელარიებში კვირა-უქმე დღე მუშაობის შესახებ, შემდეგი სათაურით: „ერთი უსამართლობა“. ხსენებული შენიშვნა არ შეეხება, არც მთავრობის სასწავლებელთა, არც ქართული გიმნაზიის უმფროსებს, ვინაიდგან, როგორც გავიგე სარწმუნო წყაროებიდან, ზოგან კანცელარიის მოხელენი თავის სურვილით მიდიან კვირაობით კანცელარიებში სამუშაოდ, ზოგან კი თვით კანცელარიის გამგენი იბარებენ მათ, ვითარცა თავიანთ ხელ-ქვეით მოხელეებს. ამის გამო ვასწორებ შეცდომას და ბოდიშს ვიხდი სასწავლებელთა უფროსების და თანა რედაქციის წინაშე. **ლადო ბზვანელი.**

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევხკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

◀ მშობიარეთათვის ▶

თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.

ოლგას ქ., ბაბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6 — 4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—35)

სამშობიარო თავშესაფარი
ბებია-ქალის
მ. ი. ფოროსტიანოვისა

მიიღებიან ორსულნი მოსალოგინებლად ყოველ დროს—დღითა და ღამით. არის აგრედვე საიდუმლო ოთახები.

რეუტოვის ქ. № 10. (100—279—7)

სხვა და სხვა წამლების საწყობი

ი. ახობაძისა

გადავიდა ახალ ბინაზე მუხრანის ქ № 8 საწყობში ისყიდება: „სპერმატინი“ კბილის წამალი ელმეზა, კრემ ნოლლი, რომელიც არბილებს ხელებსა და სახეს. აგრედვე ციებ ცხელების წამალი.

წიგნაკები უფასოდ.
წამლები იგზავნება ფას დაკლებითაც.
(10—237—7)

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
◀ ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ცენტრალური აზიურ ბუფეტი

◀ პურ-ღვინო ▶

ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

✦ ვაჭრობა ღამის 2 საათამდე ✦

20—160—19) ამხანაგობის გამგე **არხიპო ჭიჭინაძე.**

ТРЕБУЙТЕ ЧАСОВЪ
ИСКЛЮЧИ-ТЕЛЬНО
ИЗЪ ПАРИЖА

მოითხოვეთ
სწორე და მკვიდრი საათები
ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი საზურავით «ს ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და ხიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 S. Strumfeld
PARIS Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—16)

მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები ფირმისა

●● გრანდ-კახეთია ●●

შუა ბაზაზარი, სახლი 13.

ფასები: **ბოთლი 20—50 კ.**, ვედრობით 2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდე მიტანით.
ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიულს და კავკასიურ საჭმელებისა.

(20—240—11) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა** და **ხ. სამადაშვილი.**

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მაღაზია ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
✦ ახალ-ახალი ✦
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—62)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

გაფრთხილება
ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, სისხლნაკლებობით, ჰლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის **სპერმინის** მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის **სპერმინ-პელა** რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის **სპერმინის** მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება **სპერმინის** სიკარგეზე, ჩვენ **სპერმინზე** ნათქვამი, რომელსაც ეწოდება **„სპერმინ-პელა“** ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უმგვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ **სპერმინ-პელისა** და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო [illegible]მა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

ავადმყოფებს

(Мецль и К-о. № 88456). (3—265—3)

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ ხოსლუაშვილი.**

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 8.